ზაფხულია... სცხელა, სცხელა... კროსვორდების ქალაქს!

# ფანტაზია

№ 23 (49)

8 ივლისი, 1997 წ. | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 30 თეთრი

# სუპერ(კაიფ)ვორდი



## ნომრის ანეკდოტი

*ჯარისკაცებმა თხოვნით მიმართეს ზემდეგს – „სახლში გაგვიშვით!“. ზემდეგმა ისინი მწყობრში ჩააყენა, თითო შეკვრა ნარკოტიკი დაურიგა და უთხრა: „ვინც პირველი „შეაკეთებს, სახლში გავუშვებო!“*

*რამოდენიმე წამში ყველა ჯარისკაცმა ნაბიჯი წინ გადადგა და გამზადებული მასალა ზემდეგს გაუწოდა, გარდა ერთი რიგითისა, რომელსაც ზემდეგმა დაუყვირა:*

*„– შენ რა, არ გინდა სახლში წასვლა?!“*

*„– მე უკვე სახლში ვარ, უფროსო, სახლში!“*

> ადამიანი არასოდეს არის ისეთი უბედური, როგორც მას ჰგონია, და არასოდეს არის ისეთი ბედნიერი, როგორც მას უნდა.
>
> *ფრანსუა დე ლარომფუკო*

**თარაზულად:** **3.** „ფრინველის საცხოვრებლიდან“ წარმოქმნილი რელიგია. **8.** „მინსკის ავტოქარხნის მანქანაზე“ დადებული ნაძლევი. **9.** ეკლესია, სადაც „ონელები მხოლოდ მე-7 ნოტას გალობენ“. **10.** ქართული ლიტერატურის ფერადი სახელარი. **12.** ხუტას თავზე „წამოცმული თექვსმეტლიტრიანი ჭურჭელი“. **13.** ცეკვა, რომელსაც „რიტა ბრაზილიის უდიდეს ქალაქში ცეკვავს“. **14.** თანამდებობის პირი, რომელსაც ყველა სახელმწიფო ებრძვის, თუმცა მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. **15.** „ცრემლიანი“ ქვეწარმავალი. **18.** შტირლიცის „საყვარელი რიცხვი“. **19.** ვინ იყო რაია კოჯრელი ხეჩოს გულისთვის? **22.** მიწისქვეშეთი, სადაც „ქიშის მიცემით დადიან“ (რუს.კავშ.) **24.** შერეკილების ანბანის „ჭიაყელა“ასო. **26.** (თბილისელი) მკურნალი „კუ, გადასატანი რადიოსადგურით“. **31.** დიდი რუსი ფეხბურთელი – „ისრებით“. **32.** „ბუზების თავშესაფარი“ – კავკასიონზე. **33.** „სამი ოსის“ საჭმელი. **34.** „ბარებით სავსე“ თბილისის უბანი. **36.** გაბატონებული „დიქტორის ტურა“. **38.** ტივი, რომლითაც ინგლისური ზმნების მცოდნე ფინია დაცურავს. **41.** ქალაქი, სადაც „ტაშს კენტად უკრავენ“. **44.** „ვანისკენ მქროლავი ქარების“ კოლონა. **47.** შუს გარეშე დარჩენილი ჩინელი ტანმოვარჯიშე. **48.** ქალაქი, სადაც „იოკო ონო კასანდრას დეიდამ გაიცნო“. **49.** მეომარი ფუტკრების „სპორტული კლუბი“. **50.** შალითა, რომელსაც „სოიერი ზურგზე არ იკიდებს“. **52.** ფინეთის „თურქული ქალაქი. **54.** ქართული კაიფვორდების „სამშობლო“. **55.** „მონსტრების მოსასპობად“ გამართული ალლუმი. **58.** კომუნისტური იარაღი. **60.** დეტექტივი, რომელმაც „თვითონაც არ იცის, რომ მეგრელია“. **61.** ზაურის ბრაზილიელი სატრფო. **62.** ყვავილი რაზედაც „ოსი ლოტოს თამაშობს“. **64.** „მეშვიდე ნოტაზე მომართული“ სარკინიგზო რელე. **65.** „ქარის მიერ მოპირკეთებული“ მინა. **66.** „ერთხელ გამბახებელი,, გერმანული კლუბი (რუს.-გერმ. კავშირშია). **67.** შექსპირის „სიზმრების ლექსი“. **69.** რა გვარი იყო კაცი, რომელიც სულ ქიტესას ელოდებოდა. **72.** დამლაგებლების და ნარკომანების საერთო „ნედლეული“. **74.** ყველაზე პოპულარული ქართველი ნიკარაგუაში. **75.** სასადილო, სადაც „ჩქარა უნდა ჭამო“. **78.** ვერონელი მიჯნური, რომელიც „რომაელობას მალავს“. **79.** ინსტრუმენტი, რაზედაც „ონელი ერთი აკორდით უკრავს“. **81.** გურულების სახლში სათქმელი ლექსი. **82.** არსება, რომლის ხსენებისას „სატრფოს ნაფეხურებს“ ჰკოცნიან (სიმღერაში). **83.** სხვისი ნაწარმოების „შემფასებელი ოსი“.

**შვეულად:** **1.** მეხორცე, რომელსაც ასი „ყ“ აბია ). **2.** მეორედ მომსვლელი მწვანილი. **3.** „კლინტონის საყვარელი“ სამაგიდო-საჯოხო თამაში. **4.** ვენახების კომპლექტი. **5.** მეცნიერება, რომელსაც ყველა იდეოლოგია თავის ჭკუაზე ატრიალებს. **6.** უთავბოლო წრებრუნვა. **7.** ხან ექვსი და ხან შვიდი სიმით დამკვრელი. **11.** ვინ ეგონა ნაცარქექია დახტინგურს? (პიესაში). **14.** „ვიკაზე დიდი“ კომუნისტი (რუს. კავშ.) **16.** „ტურებისათვის შექმნილი“ „აგებულება“. **17.** საქართველოს კურორტი, სადაც „მე-6 ნოტაზე ხტებიან“. **18.** კახეთის სოფელი, სადაც „ჩაის გიახლებიან“. **20.** უსულო ქმნილებების შემქმნელი. **21.** სასწავლებელი, სადაც სტუდენტობაგამოვლილი „ასპირა ტურა სწავლობს“. **23.** ავადმყოფური ჩვევა. **25.** ევროპელი ტარიელი. **27.** პრემია, რომელიც „ოსს კარზე მიადგა“. **28.** ღიმილის ბიჭების ნიშანი ფიზკულტურაში და სიმღერაში. **29.** რა სპორტსმენი გახდა სუვოროვი საფრანგეთ-იტალიის მთებში? **30.** ტყუილის ქარგონული სახესხვაობა. **35.** უსინათლო ქალი, რომელიც იმასაც კი ხედავდა ბულგარეთის მიწაში რა იყო. **36.** თანხმობის სიტყვა. **37.** ჩინელი კატების ბელადი. **39.** კაცობადაკარგული კაცი. **40.** რა სჭირდება კაიფვორდს? **42.** ტივი, რომელზედაც „კატამ ღვინის საწყობი მოაწყო“. **43.** მონაზვნების „მოლულნე“ ხელმძღვანელი. **45.** გარეკახეთის მდინარეს პლუს ჰამლეტის სამშობლო უდრის არაბულ სახელმწიფოს. **46.** ავეჯის კომპლექტი ჩვენი ნაცნობი ტურისათვის. **51.** კოჭის პოზიცია. **53.** ვერდის ოპერა პენსიონერის შესახებ... გოძიაშვილის თანახმად. **56.** ანტონიო ბანდერასის „საყვარელი საწერი სითხე“. **57.** ბეტონში (ზურაბივით) ჩასაშენებელი (ჩვენი ნაცნობი) ტურა. **59.** აწგარდაცვლილი რუსი კომენტატორი, „ტბის ნაპირიდან“. **63.** რა „ეკარგება“ მთვრალ კაცს? **65.** ყველაზე პოპულარული კახელი. **67.** „ყველაზე მდგრადი“ სალეჭი რეზინი. **68.** აფრიკელი სპილოს პრივილეგია. **69.** ალ. კოპოლი, რომელიც „ცხენს ტიბეტურ ხარად აქცევს“ (რუს.კავშ.) **70.** იაპონიის ქალაქი, სადაც „დენი არ ითიშება“. **71.** რა არის თარაზული №9 თავისი არსით. **73.** სოფელი, სადაც სურებს მე-3 ნოტით აკეთებენ. **76.** ფიზკულტურელის სამოსი. **77.** აწ უგულებელყოფილი ძველებური სიგრძის საზომი ერთეული. **80.** ყველაზე საკაიფვორდო ქალაქი საქართველოში.

*შეადგინა ზურაბ თბილელმა*

# VIP

ანუ

*Very Important Persons*

(და კიდევ) ანუ

„ძალზედ მნიშვნელოვანი ადამიანები“... ყოფით სიტუაციებში...

## ბილ კლინტონი

*ამერიკის პირველი ცხვირი გაწითლებას იწყებს*

აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, ამერიკის უმაღლესი წრეებში შეშფოთებულნი არიან ურთიერთგამომრიცხავი ჭორების გამო, ცნობის მოყვარე მეგაზეთეები გაფაციცებით ეძებენ თეთრი სახლის მორიგი საიდუმლოს გასაღებს, ანუ:

*რატომ გაუწითლდა პრეზიდენტ კლინტონს ცხვირი?*



ჟურნალმა **U.S. News and Warld reaports**-მა აღელვებულ თანამემამულეებს შესთავაზა ამ კითხვის საკუთარი დამაჯერებელი განმარტება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მეთაურს ე.წ. „კელტების წყევლამ“ უწია. ცნობილი დერმატოლოგის ჯონათან უილკინის აზრით, ამ წყევლას „არ შეუძლია ადამიანის სიცოცხლის მოტაცება, მაგრამ თავისუფლად ძალუძს კარიერის დანგრევა“. მედიკოსებს აქვთ ერთი სპეციალური ტერმინი – როზაცია – ანუ „ირლანდიური ავადმყოფობა“, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემა, თავს იჩენს სიმწიფის ასაკში და ავადმყოფის ცხვირის სიწითლით მთავრდება.

დოქტორი უილკინი, მედიკამენტებისა და პროდუქტის ხარისხის საკითხების ფედერალური სამმართველოს მთავარი დერმატოლოგი, დარწმუნებულია, რომ ბილ კლინტონს სწორედ ეს „ირლანდიური ავადმყოფობის“ სიმპტომები აღმოაჩნდა. მისი მტკიცებით, პრეზიდენტის ცხვირი უნდა განვიხილოთ, როგორც კლასიკური ორგანო, რომელიც როზაციითაა დაავადებული. ამან გამოიწვია მის სახეზე კანის გადაგვარება, არაესთეტური ამონაბურცები და სხვა პათოლოგიური წარმონაქმნები, რაც ეჭვიანი ამერიკელების მითქმა-მოთქმის საგანი გახდა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

# საკროსვორდო ჩემპიონატის მეორე (საზაფხულო) ტურნირი 5 ტურად

**ფირმა „ექს-ელის“ მიერ დაწესებულია ერთი პირველ პრიზი 50 ლარი**



## მესამე ტური – 100 სიტყვა

**თარაზულად**: 14. ფილოსოფოსი (1788–1860), რომელიც კომპოზიტორს (1810–1849) "შეიცავს". 16. ქართველი მხატვარი ქალი. 17. ნაპოლეონის ეპოქის ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. 20. დიდებული ქართველი კომიკოსი. 21. ერთობ მოსაძიებელი რამ ცხოვრებაში. 22. კაცი, რომელიც ფულით ცხოვრობს (პირდაპირი გაგებით)... 23. ერთ-ერთი ცნობილი მეზღაპრე. 25. სამღებრო წარმოებაში გამოყენებული კალოვანმჟავას მარილი. 26. „დარბაისელი" კაცი – ინგლისში. 27. საავადმყოფო ძველ საქართველოში. 28. (კაიფვორდულად) ქალაქი, სადაც შველების ოთხეულს „ტყავს" აძრობენ. 32. ზამთრისეული ატრიბუტი. 33. მომღერლის სახესხვაობა. 34. თუ ჰენრი ჰიგინსი პიგმალიონია, ვინ არის ელიზა დულიტლი? 35. ჩვენებური ცეკვა. 39. ქალაქი დიდ ბრიტანეთში. 41. ჯოხის სახესხვაობა. 42. პიროვნება, რომელიც თემს აუჯანყდა. 43. პირველი ქართველი ქალი, რომელიც მსოფლიომ გაიცნო. 44. ქართული ანბანის ასო. 50. ვესტ-ინდოეთის სახელმწიფო. 51. „მისი უდიდებულესობა", რომელიც პრესას გაყიდვაში ეხმარება. 52. პროფილაქტიკური ღონისძიება. 53. მეტყველების სახესხვაობა (ტირე-მირეებს კროსვორდი არ სცნობს). 56. ნილბიანი კაცი. 57. დრამატურგი-სიმბოლისტი, ავტორი პიესისა „ლურჯი ფრინველი". 58. ქართველი მოჭადრაკე ქალბატონი. 60. საჯარიმო დარტყმის სახესახვაობა. 61. მუსიე პორთოსის მსახური. 62. ვენეციელი გონდოლიერების სიმღერა. 64. დროის მონაკვეთი – ზოგადად. 66. იგივეა, რაც ძენძი. 67. საბაზრო ატრიბუტი. 69. ავტორი ბალეტისა „ჟიზელი" 70. ქართველი კინორეჟისორი. 74. ფლორის სამყაროს აუცილებელი ატრიბუტი. 75. გამოსახულების დასაფიქსირებელი საშუალება. 77. ხე, რომელსაც აქვს გლუვნაჭუჭიანი ნაყოფი მომწვანო გემრიელი გულით. 79. ოთხმოციანი წლების ფრანგი ფეხბურთელი. 81. ქარგონული მიმართვა ყმაწვილი კაცისადმი (წოდ. ბრ.) 86. სახელმწიფო აფრიკაში. 87. ჰუმანიტარული მეცნიერება აღმოსავლეთთან მიმართებაში. 89. რუსული ლიტერატურის კლასიკოსის გვარის ნაწილი. 91. სასწორის თეფში. 92. ბგერის სიხშირული არხების კორექციის ხელსაწყო. 94. არარეალური ამბავი. 95. ქიმიური ელემენტი. 96. ნერვულ-ფსიქიური დაძაბულობა. 97. მშენებელი კაცი. 98. გამოქვაბულებში არსებული შვერილი. 99. („ფრანგული") ბამბა.

**შვეულად**: 1. პამიდვრით ცნობილი სოფელი მცხეთის სიახლოვეს. 2. სამხედრო წოდება. 3. ტელეაპარატურის მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 4. ლე კორბიუზიეს საყვარელი საქმე. 5. მოლდავეთის ისტორიის ეპოქალური პიროვნება, მეცნიერი-ფილოსოფოსი. 6. ქალაქი, სადაც ანტიჰიტლერული კოალიციის თავშეყრა გაიმართა. 7. დავით აღმაშენებლის ვაჟის მეტსახელი. 8. (კაიფვორდულად) ქალაქი, სადაც „ძმა ძმას ადიდებს" (რუს. კავშ.) 9. მთა თბილისის სიახლოვეს. 10. საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი. 11. თურქეთის საფეხბურთო კლუბი. 12. როგორი ხილია ანანასი? 13. პატარა ქალაქი ტაშკენტის სიახლოვეს. 15. უპირატესად მამაკაცის გარდეროპის შემადგენელი ნაწილი. 18. შვეიცარიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 19. (კიდევ ერთი) შემადგენელი ნაწილი გარდეროპისა. 24. შერწყმა-გაერთიანების სახესხვაობა. 29. „ამერიკული ტრაგედიის" ავტორის კიდევ ერთი რომანი. 30. ლაქია ევროპელ დიდებულთა ოჯახებში. 31 ცეცხლისა და მჭედლობის ძველბერძნული ღვთაება. 36. XXIX საუკუნეში აჯანყებული მეგრელების ლიდერი. 37. სისხლის წითელი სხეულაკების შემადგენელი ნაწილი. 38. გაზაფხულის ყვავილი. 40. არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი. 45. ამოუცნობი რამ. 46. ამიერკავკასიის უძველესი (ერთსახელიანი) დიდი და პატარა სახელმწიფოები. 47.. ციური სხეული. 48. ბრიჯიტ ბარდოს კინოპერსონაჟი. 49. ხმელეთში ღრმად შეჭრილი წყალი. 54. მარაგად დამზადებული საკვები პროდუქტი. 55. მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთი თავმჯდომარე კომუნისტურ საქართველოში. 59. არაბი – ძველქართულად. 60. ანომალიური მოვლენა. 63. მდინარე ლესოთოსა და ნამიბიაში. 65. საესტრადო ორკესტრი. 68. რუსი მწერალი. 71. ინგლისის რეფორმისტული მუშათა პარტიის წევრი. 72. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსმინისტრი. 73. საზოგადოებრივი წესრიგის დამცავი პირი ინგლისურენოვან სამყაროში. 76. კაცი რომელიც სხვის პირში მუშაობს. 78. იგივეა, რაც თანამგზავრი. 80. პუშკინისეული პერსონაჟი. 82. თბილისის „დინამოს" ცნობილი მეკარე. 83. მდინარე და ყურე კანადაში. 84. სასკოლო დისციპლინა. 85. ბერძნული ცეკვა. 88. სასტამბო ასოს სიმაღლის ზომა. 90. ჰამლეტ გონაშვილის მშობლიური სოფელი. 93. რევაზ ლაღიძის ოპერა.

**ჩვენ გთავაზობთ ოლიმპიურ დევიზს: «მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება!»**




1. გამოიცანით, ვინ იმალება ძირითადი კროსვორდის ჩარჩოს მიღმა.
2. რუსი კომპოზიტორი – „ნინას კეთილი (ქმარი)".
3. რა შექმნეს შვიდმა ქალმა და სამმა კაცმა ათი დღის განმავლობაში.
4. კუთხის სეპარატისტი.

*საპრემიო კროსვორდის ყოველი ქულა პირდაპირ დაემატება კოეფიციენტს.*

**მას, ვინც მთლიანად შეავსებს დიდ კროსვორდს, დაემატება საპრემიო ქულა**

**მონაწილის სავიზიტო ბარათი**

გვარი ______________________

სახელი ______________________

მისამართი ______________________

ტელეფონი ______________________

**მესამე ტურის პასუხები მოიტანეთ არაუგვიანეს კვირადღის 17 საათისა. დაგვიანებული პასუხები არ მიიღება.**

### პირველი ტურის პასუხები

1. ჯორჯიკია. 2. სტაროსტინი. 3. ასუანი. 4. პროსტატიტი. 5. მეკონგი. 6. ფილატელისტი. 7. რადიკალიზმი. 8. ევრაზია. 9. პლანიმეტრია. 10. მანჰეტენი. 11. კონია (ტოსია). 12. კონკურენტი. 13. მისტიფიკატორი. 14. კორტასარი. 15. ხეჩინაშვილი. 16. პათოლოგია. 17. კრამიტი. 18. ქრონომეტრაჟი. 19. უჯარმა. 20. სარკოფაგი. 21. აინტრაპტი. 22. კიტო. 23. აკუსტიკა. 24. მეგრე. 25. ავი. 26. მენოტი. 27. არიფი. 28. ყორანი. 29. კაპიტალისტი. 30. აზარტი. 31. მისია. 32. შტემენკო. 33. ნიკე. 34. ნანტი. 35. სტალინური. 36. მედიტაცია. 37. ელემენტი. 38. სანტიმეტრი. 39. ვარიეტე. 40. პროლოგი. 41. უსიამოვნება. 42. პერუ. 43. ულტრა. 44. ტაბურეტი. 45. ბაზალეთი. 46. ბლუ. 47. ვაისმიულერი. 48. ლელაშვილი. 49. შარდენი. 50. აშპაშხანა. 51. სკუმბრია. 52. სექტა. 53. ოზალი. 54. შარშან. 55. კრიმანჭული. 56. ჭრაქი. 57. ჩირგვი. 58. აპლაიკი. 59. კვაზარი. 60. ეტრატი. 61. ლოგოპედია. 62. რომარიო. 63. როსარიო. 64. აუშევი. 65. გოლგოთა. 66. ოლიფა. 67. ვაინახი. 68. არის. 69. ნაირი. 70. დეკამერონი. 71. ბრინჯაო. 72. ვერე. 73. სევილია. 74. ტრეკი. 75. ანტენა. 76. რობესპიერი. 77. სარბიელი. 78. ჭიაყელა. 79. ბორმანი. 80. ყარამანიანი. 81. აფთარი. 82. ფონ. 83 პემორიო. 84. ომიაძე. 85. პრადო. 86. დალი. 87. კიტრი. 88. პელოუ. 89. მაერი. 90. ოქუმი. 91. ცეცხლთაყვანისმცემელი. 92. ხამი. 93. ელია. 94. ჩქამი – ჩაფი. 95. ლოქო. 96. სტიმოროლი. 97. ბრონსონი. 98. ძეფირელი. 99. ყმა.

### პირველი ტურის შედეგი

| | | |
|---|---|---|
| 1. | გაბრიელიძე იური | 100 |
| 2. | კიკალეიშვილი მურთაზი | 100 |
| 3. | კუსრაძე ლიანა | 100 |
| 4. | ყაჯრიშვილი ვლადიმერი | 100 |
| 5. | ნებიერიძე მამუკა | 100 |
| 6. | ჩიტიშვილი ბეჟანი | 100 |
| 7. | ხაჩირაშვილი მარინე | 100 |
| 8. | კვირიკაშვილი დათო | 99 |
| 9. | ლოლაძე ვანო | 99 |
| 10. | სესიტაშვილი ზურა | 99 |
| 11. | გეგია მაია | 98 |
| 12. | ჩაჩანიძე ქეთევანი | 98 |
| 13. | გელაშვილი თენგიზი | 97 |
| 14. | კვირიკაშვილი მერაბი | 97 |
| 15. | ალიმბარაშვილი ალიკო | 93 |
| 16. | მეტრეველი გია | 92 |
| 17 | გიორგაძე ოტია | 82 |
| 18. | ალანია ჯოტო | 77 |

## anek-დო-tebi

**1.** მიხომ მოინდომა გამოეცადა თავისი მარო და თავი მოიმკვდარუნა; შემოვიდა მარო და დაიწყო მიხოს საიმქვეყნოდ გამზადება: აიღო კოსტუმი, მაგრამ დაენანა, აიღო შარვალი და ისიც დაენანა. ბოლოს ჩააცვა სატინის ტრუსები და დაიწყო ტირილი:

– „სად მიდიხარ, მიხო, სადა?!"

მიხო წამოხტა და დაუყვირა:

– „ვერა ხედავ სტადიონზე მივდივარ, შე შობელძაღლო, შენა!"

**2.** სასაფლაოზე დაკრძალვის ცერემონიალისას მიცვალებულის მეგობარი ამბობს:

– „იგი წავიდა ჩვენგან და თავისი 30 წლის ცოლი ქვრივად დატოვა".

აქვითინებულმა ქვრივმა თავი აწია და თქვა:

– „28-ისა..."

**3.** ერთმა ქალაქელმა დაინახა, რომ მეზობელი მთიელი ორმოს თხრის; მივიდა და ჰკითხა:

– „რატომ თხრი ორმოს?"

– „მანქანისათვის ვთხრი... ამ არამზადა ქურდებმა „სტაიანკიდან" მომპარეს, გარაჟიდან მომპარეს, ეზოდან მომპარეს... ახლა მიწაში უნდა ჩავფლა".

– „მერე არ გენანება ეს ახალი „ჟიგული?"

– „არა, არ მენანება; ეს მანქანა ხომ არ არის, აი, „ვოლვო" რომ მქონდა, ის მართლაც კარგი მანქანა იყო."

– „ის „ვოლვოც" მოგპარეს?"

– „არა, სიმთვრალეში სადღაც ჩავფალი და ველარ ვიპოვე."

**4.** ერთმა ფეხბურთელმა ეჭვი აიღო, რომ ცოლი ღალატობს და მასთან სერიოზული საუბარი გამართა:

– „რატომ მღალატობო...ვისთან მღალატობო... როდის მღალატობო..." და ა.შ.

ცოლმა კითხვავე შეაგება:

– „მწვრთნელი რომ არ გათამაშებდა, გახსოვსო?"

– „კიო" – უპასუხა ფეხბურთელმა

– „ჰოდა, პირველად მასთან გიღალატე, შენ რომ გუნდში აეყვანე".

– „მერე?" – ჰკითხა ფეხბურთელმა.

– „თანაგუნდელები პასს რომ არ გაძლევდნენ, გახსოვსო"

– „კიო" – უპასუხა ფეხბურთელმა

– ჰოდა, მათთანაც გიღალატე, რომ პასი მოეცათ.

– „მერე?" – ჰკითხა ფეხბურთელმა.

– „მერე და... მთელი ტრიბუნები ტაშს რომ გიკრავენ, ხომ უნდა ამას დამსახურება?!"

## გასული ნომრის პასუხები

(საფირმო კროსვორდი) 1. როტვაილერი. 2. სპერმატოზოიდი. 3. ნუმიზმატიკა. 4. გერმანია. 5. ციცინათელა. 6. ავტოკეფალია. 7. ფრაიბურგი. 8. ანანდი. 9. კანოე. 10. ანტი პოდი. 11. პრიმადონა. 12. კომპიუტერი. 13. ვერონა. 14. გარნირი. 15. სოფია. 16. კვირტი. 17. მაიკოპი. 18. ნეოლოგიზმი. 19. ფილარმონია. 20. ერუდიცია. 21. ბონდი. 22. შახტა. 23. პეროსტრატე. 24. არგანი. 25. ნორვეგია. 26. მაზიანი. 27. ამსტერდამი. 28. ზიკო. 29. კამპანია. 30. მაროკო. 31. გრამატიკა. 32. კონსტანტინე. 33. შატობრიანი. 34. სტატუსი. 35. აკიდო. 36. კოლუმბია. 37. კროსი. 38. სუხანიწი. 39. პატენტი. 40. კნუტი. 41. კოქტო. 42. იარმოლნიკი. 43. არტილერია. 44. ალო. 45. კონკისტადორი. 46. რარიტეტი. 47. პოლიგრაფია. 48. იმპორტი. 49. ინგმარი. 50. ბანიონისი. 51. ლახტი. 52. სეისმოლოგია. 53. ჩიჩია. 54. მაგნოლია. 55. ეპიდემია. 56. პორტრეტი. 57. კვირაძალი. 58. კრეონტი. 59. ფიდიასი. 60. მინერვა. 61. არდაზიანი. 62. ლორია. 63. ელბა. 64. გრიფიტი. 65. თოლია. 66. ბოთლი. 67. სკორე. 68. გორი. 69. პერმი. 70. ჟირარდო. 71. ბაგრატი. 72. პარალელეპიპედი. 73. ელადა. 74. ოსანა. 75. ლოძი. 76. ნიპილიზმი. 77. იაკუბოვიჩი. 78. ლატარია. 79. ტრამალი. 80. თუმანიანი. 81. გაზმანოვი. 82. უნიკუმი. 83. მეაუნა. 84. გურანდა. 85. პაშტეტი. 86. გარეული. 87. მაგია. 88. ფლორიდა. 89. აბრაკადაბრა. 90. როკოკო. 91. პარმა. 92. ნისლი. 93. ტეტია. 94. კეთრი. 95. ავაზა. 96. სერვანტესი. 97. კვერი. 98. ნოვატორი. 99. ტომი. 100.ლიჩი. 101. კლინიკური. 102. კვაზიმოდო.

(თბილისური კროსვორდი) **თარაზულად**: ბაბილონი, ინტიმური, მოდელი, ტეტია, ტრეტიაკოვი, იგავი, კუ, მელოტი, ყარამანი, ნოვგოროდი, ბრმა, ბენზინი, წნორი, აინა, უჯრედი, მტილი, აისი, შუბერტი, ოლსტერი, ის, წინ, ბოთლი, ერი, ალახოლი, ბია, რას, ბოი, ბონი, ვიშ, ბალეტი, კიი, ქეთო, ბანდა, პაზოლინი, ყვარელი, დან, ორდერი, ადანდალი, პიანისტი, რუსთაველი, იარა, ილაჯი, ელმაველი, უქიმერიონი, არჩილი. **შვეულად**: ბოგანო, აპრილი, ჭადარი, ელადა, ბრეზენტი, კილიმანჯარო, ალიგატორი, ანტრესოლი, ტლუ, ნავი, იდილია, იაქ, კიო, ჯეკ, შტერი, ბეკენბაუერი, ყრუ, ტუ, ბრის, სერ, ნიამეი, ქართლი, ბერგამო, ვინ, ტიმოთე, ვან, არის, ტრიო, იალა, აბუ, დილა, სიტრო, და, ანბანი, ატამი, ლიანდაგი, მონა, არ, მოლბერტი, დალაქი, სუვოროვი, წოვა, რიტმი, ლეილი, ია, ფირნიში.

(ჯვარსიტყვა) **თარაზულად**: 3. ტულუზა. 5. სარაგოსა. 8. ფეიერვერკი. 11. იანეთი. 12. ვისკი. 14. აგასი. 17. ვარიაცია. 20. სვიფტი. 22. კონტრა. 24. პიანო. 25. ლუკლა. 26. რაიხი. 27. იანკი. 28. მეაცა. 29. სეიკო. 30. პრიმა. 31. ფიატი. 32. აკაცია. 33. ანანდი. 34. ირიგაცია. 37. პიაფი. 39. მაკაო. 40. პანამა. 42. კარდიოლოგი. 45. ვისკონტი. 46. ეტრატი. **შვეულად**: 1. ფურჩე. 2. ეზოპე. 3. ტალინი. 4. ასორტი. 6. უფალი. 7. ფირმა. 9. რინგი. 10. ვნება. 13. ინფორმაცია. 15. სინდიოფალა. 16. სვასტიკა. 17. ვარიანტი. 18. ამნისტია. 19. არკონადა. 20. სოგარა. 21. ილიადა. 22. კანიჯა. 23. ალმატი. 35. განგი. 36. აბანო. 38. ეთიკა. 39. მარია. 40.პორტიე. 41. აბორტი. 43. დასტა. 44. ლენტი.

# V

*(დასაწყისი პირველ გვერდზე)*

სტატისტიკის თანახმად, ამ ნაკლებად შესწავლილი და არა სასიკვდილო დაავადებით აშშ-ს მოსახლეობის ცამეტი მილიონი ადამიანია დასნეულებული. ესენი ძირითადად ირლანდიელი ემიგრანტების შთამომავლები არიან; ასე რომ, „ირლანდიული წყევლა" თაობიდან თაობას გადაეცემა და ფერმკრთალ და წითურ ადამიანებში იჩენს თავს. „ირლანდიული ავადმყოფობის" დამარცხება, ექიმის აზრით, თითქმის შეუძლებელია, თუმცა გარკვეული ანტიბიოტიკების მიღება მაინც აუცილებელია, რათა როზაციამ ცხვირის გადიდება და დაგრეხა არ გამოიწვიოს.

როგორც ჩანს, ამ ავტორიტეტული გამოცემის პუბლიკაცია ბოლოს მოუღებს მეგაზეთეების ნაირგვარ სპეკულაციას აშშ-ს „პირველი ცხვირის" გაწითლების თაობაზე. ერთი რამ კი ცხადია, აშშ-ს მოსახლეობის არაერთ მილიონ მამაკაცს გასამართლებული საბუთი მოეძებნათ და აღარ არიან იძულებულნი ცოლების წინაშე ათასგვარი მიზეზები დაასახელონ ცხვირის გაწითლების გამო.

## ბედნიერი ოჯახი



ბილ კლინტონი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად**: 1. თბილისის უბანი, რომლის წარმომადგენლები „კინოშიც ლოტოს თამაშობენ". 4. სტუდენტის „ხალისი". 10. „დათვური წარმოშობის" ქართველი მწერალი, ავტორი „ვეფხია ხალიბაურისა". 11. „უსაპნოდ დარჩენილი" იტალიის ქალაქი (რუს.კავშ.). 12. დიდი მდინარე და პატარა ავტომობილი. 13. სახელმწიფოს „ულვაშიანი მოხელე" (რუს.კავშ.) 14. ევროპელი თავადის ცოლი – „ჭურჭლით". 16. შილაფლავის ნედლეული (თავის დროზე მოგცეთ ღმერთმა!). 18. სამეფო ნივთი, „გალიას რომ ერგო მეორე ნოტის სიმღერაში". 20. გაიხსენეთ რითმა შემდეგი ფრაზისა – „წამიყვან, ძია?" 23. ეგოიზმის კრიჭაშიმდგომი ქმედება. 24. რა ჰქონდათ ბრეგვაძეებს „ოხრად"? 26. ქალაქი, სადაც ყველა გზა მიდის (... და ისევ მოდის!). 27. სხვისი შრომის შემფასებელი „ტიკიანი კაცის" საქმე. 29. რეგიონი, სადაც „იტალიის ტელევიზიით რაჭული პროგრამა გადის ეთერში". 31. თბილისის ერთ-ერთი განსასვენებელი (ღმერთმა გაშოროთ) 34. ქალაქი, სადაც „ხანები ზოლიან სიგარეტს ეწევიან". 36. ჩეხეთის „ლუდიანი" ქალაქი. 37. ქალაქური ლანძღვის შემცველი თავადური გვარი.

**შვეულად**: 1. ქართველი პოეტი – „ნახევარი კაკლით". 2. მინისტრი, რომელიც „გასულ კვირას გადადგა". 3. „დანიშნული" ქართველი პოეტი. 5. სამი მომღერალი „ო". 6. „მადის აღმძვრელი" კოსმეტიკური საშუალება. 7. „ოსების სახელშერქმეული" აფრიკული მდინარე. 8. ორსახა ღვთაება. 9. „ერთმანეთში არეული ტურების" წამალი. 14. მწერალი, რომელიც ადასტურებს, რომ „ვივიენ ლი გოგოა". 15. „ფურისათვის განკუთვნილი" ძვირფასი ჭურჭელი. 17. ღონისძიება „რიტასთვის ალის მოსაკიდებლად". 19. სააგარაკო-საჩრდილო ინვენტარი. 21. საქართველოს მდინარე – „ორი ერთეულით". 22. ყველაზე ცნობილი მონა – „ფეხბურთში". 23. ატმოსფერული მდგომარეობა – „ლოცვას რომ საჭიროებს". 25. შვეული №8-ის ქართული ვარიანტი. 27. მდინარე, სადაც ახალი კარტოფილი ყველაზე გემრიელად იჭმევა. 28. საფრანგეთის ქალაქი, სადაც ბილიარდის ორმოში საბჭოურ თვითმფრინავებს აგდებენ". 30. ადვილი საჭმელი „მეოთხე ნოტის კვადრატით". 32. ყველაზე გრძელწინდა გოგონა. 33. „იების მოყვარული" ესპანელი მხატვარი. 35. კარცერში მყოფი წყალსატევი.

## ჰილარი კლინტონი

ნახევრადმართალი ანეკდოტი:

*ერთხელ ჰილარი კლინტონი თანაკლასელთა წვეულებაზე იყო; იქ მას შეხვდა კაცი, რომელთანაც ყმაწვილობისას სასიყვარულო რომანი ჰქონდა გაბმული. ის კაცი უბრალო ტაქსისტად მუშაობდა და ჰილარის მოკრძალებით უთხრა –„ კიდევ კარგი, მე არ გამომყევი, თორემ ახლა უბრალო ტაქსისტის ცოლი იქნებოდიო!" ჰილარის კი სრული სერიოზულობით შეუსწორებია –„შენ ცდები, მეგობარო! მე რომ შენ გამოგყოლოდი, ახლა შენ ამერიკის პრეზიდენტი იქნებოდიო!"*

ჰილარის შესახებ ნაირგვარ ლეგენდებს ყვებიან და ყოველ მათგანში უცილობლად არის რაღაც სიმართლის ნასახი. თურმე ნუ იტყვით და, აშშ-ს საპრეზიდენტო ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს არა ოჯახის უფროსი, არამედ მისის კლინტონი, რომელსაც ქმარზე ბევრად უფრო მეტი შემოსავლები აქვს. ასე მაგალითად: თეთრმა სახლმა სააშკარაოზე გამოიტანა კლინტონის ოჯახის ფინანსური შემოსავლების ფაქტები, სადაც ნაჩვენებია, რომ ამ ოჯახის დასაბეგრი თანხის ოდენობა გასლავთ 1 065 101 დოლარი გასული წლის მიხედვით და ამ თანხაში მხოლოდ 200 000 დოლარია ბილ კლინტონის წილი, დანარჩენი თანხა კი ჰილარიმ გამოიმუშავა. ამერიკის პირველმა ლედიმ ეს შემოსავალი მიიღო წიგნისათვის, რომელიც მან საკუთარი ხელით დაწერა.

პატარა კომენტარი

*თანამედროვე მსოფლიოში ძალზედ ხშირია ფაქტები, როცა ესა თუ ის პოლიტიკური ლიდერი მწერლობით ირჩენს თავს და მათი ლიტერატურული ჰონორარები მრავალჯერ აღემატება, ვთქვათ, რომელიმე ჰემინგუეის მსგავსი მწერლების შემოსავლებს... აქ იბადება ბუნებრივი რიტორიკული კითხვა – ბატონი პოლიტიკოსები რაკილა ასეთი კითხვადი შემოქმედებით არიან, ხომ არ მომხდარიყო საჭადრაკო როქის მსგავსი სვლა, რათა მწერლებს, წლობით სანატრელი ჰონორარის მოლოდინში, სტაბილური საბიუჯეტო ხელფასი მაინც ჰქონოდათ?! თუმცა ეს ამერიკის შინაური პრობლემებია და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჩარევის გარეშე როგორმე გადაწყვეტენ ამ სოციალურ საკითხს.*

## მოამარ კადაფი

..ბრაზილიის პრესამ სააშკარაოზე გამოიტანა ლიბიის ლიდერის, მოამარ კადაფის ერთ-ერთი ყველაზე მეტად სათუთი საიდუმლო. ადგილობრივმა გაზეთებმა მოსახლეობას აუწყეს, რომ გასული წლის ბოლოს ორმა ბრაზილიელმა ექიმმა, გამოიყენეს რა უახლესი ტექნიკა, ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში ჩაატარეს ურთულესი ოპერაცია. მათი პაციენტი იყო არა ვინმე სხვა, არამედ თავად მოამარ კადაფი, ხოლო ინფორმაცია ქირურგიული ჩარევის შესახებ გააჩნდა მხოლოდ მასთან დაახლოებულ ლიბიელ წარჩინებულთა ვიწრო წრეს.

ქირურგი-კოსმეტოლოგის, დოქტორ მიგელ კურისა და მისი ასისტენტის მოვალეობა ის იყო, რომ 54 წლის ლიბიელი ლიდერის თავზე ქოჩორის შეთხელების პროცესი შეეჩერებინათ. ლაზერული სხივების დახმარებით მედიკოსებმა შეძლეს 3000 ღერი თმა გადაენერგათ პოლკოვნიკ კადაფის თავის გამელოტებულ ნაწილებზე. ბრაზილიური პრესა არ თვლის საჭიროდ ამ ინფორმაციის წყაროს დასახელებას. საეჭვოა ის ფაქტიც, რომ ეს ამბავი თავად ექიმებმა გამოიტანეს სააშკარაოზე, რადგან მომსახურების მკაცრი კონფიდენციალობა იმის საწინდარია, რომ ექიმს კვლავაც მიმართოს სასურველმა კლიენტმა. ასეა თუ ისე, „ლიბიური საიდუმლო" ყველასთვის ცნობილი გახდა. ბრაზილიელი ჟურნალისტები გვერდს უვლიან საკითხს იმის შესახებ – გაუნელდათ თუ არა „სიყვარული" კადაფის თანამემამულეებს თავისი კერპის მიმართ „მამა და მარჩენალის" სიბერისაკენ გადახრის გამო..

ნახევრადპოლიტიკური ანეკდოტი

*ერთხელ ერთმა უხამსმა და ბოროტმა დედოფალმა თავისი ჟინის დაცხრომა მოისურვა და მთელი სახელმწიფოს ყველაზე ძლიერი მამაკაცები სათითაოდ მოიწვია გვერდით, მაგრამ მისი დაკმაყოფილება ვერავინ შეძლო და თითოეულ მათგანს თავი მოაჭრეს... ბოლოს დედოფალთან ერთი პატარა, მელოტი კაცი შევიდა და იქიდან ოქრო-ვერცხლით დატვირთული გამოვიდა! რომ ჰკითხეს – „მაინც რა ქენიო ასეთი?" – უპასუხა: „თავით მუშაობააო საჭირო!„*

*ვიმეორებთ – დედოფალი ძალზედ უხამსი იყო და ანეკდოტიც შესაფერისი მოვბუძებნეთ.*

# I

## ჰელმუტ კოლი

*„ჩემი წონა სახელმწიფო საიდუმლოა"*

ბონის ცენტრში განთავსებულ არტისტულ სასტუმროში გფრ-ს კანცლერმა, ჰელმუტ კოლმა წარმოადგინა თავისი კულინარული წიგნი, რომელიც თავის მეუღლესთან თანაავტორობით შექმნა.

— „ჩემმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ იმაში დამარწმუნა, რომ ჩემთვის აუცილებლობას წარმოადგენს, ტანსაცმლის ორი ზომის კომპლექტი მქონდეს, ერთ მათგანს ვხმარობ დიეტაზე ყოფნის პერიოდში, მეორეს კი ყველა დანარჩენ დროს" — განაცხადა კანცლერმა წიგნის პრეზენტაციისას. ჟურნალისტებმა მას სთხოვეს მთელი ქვეყნის თვალწინ სასწორზე შემდგარიყო, მაგრამ ვერ დაითანხმეს და მან ეს უარი ასე გაშიფრა:

—„ჩემი წონა სახელმწიფო საიდუმლოებააო".

წონის ყოველწლიური დაკლება, როგორც ჩანს ძალზედ დიდ განცდებთანაა დაკავშირებული ისეთი სიცოცხლისმოყვარული კაცისათვის, როგორიც ჰელმუტ კოლია. ზაფხულის რამოდენიმე დამქანცველი კვირის განმავლობაში იგი მხოლოდ სტაფილოთი და წყლით კმაყოფილდება, ძალიან ბევრს დასეირნობს ფეხით და შემდეგ ბრუნდება ბონში ყოვლისმსუსრელი მადით.

ცხოვრების ასეთი კონტრასტული სტილი მას დიდად უწყობს ხელს იმაში, რომ საოცრად პოპულარული იყოს გერმანიის მოსახლეობაში. მრავალი მისი ამომრჩეველი თავად განიცდის წონის მოჭარბებულ ოდენობას და ამიტომაც მათ მოსწონთ, როცა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი ეჭვის ქვეშ აყენებს იმ თეორიას, რომელიც დაბალკალორიული კვების პროპაგანდას ეწევა.

—„კვება კულტურის მონაპოვარიაო" —თქვა კანცლერმა და სიამოვნებით გადასცა მკითხველს შესანიშნავი კულინარიული რეცეპტები.

შესაძლოა, ამ დროს იგი თავის საყვარელ საჭმელზე, „ზაუმაგენზე", ფიქრობდა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ფარშირებული გოჭი, რომლის მომზადების საიდუმლო მშვენივრად იცის გერმანიის წამყვანმა პოლიტიკოსმა. მხოლოდ თითოოროლა რჩეულს ჰქონია



პატივი (მათ შორის მიხაილ გორბაჩოვს), ევახშმა კანცლერთან და მის მეუღლესთან ერთად მათს აგარაკზე ოგერსჰაიმში და ეს ნაქები „ზაუმაგენი" გაესინჯათ.

გთავაზობთ აღნიშნული საკვების რეცეპტს: გამოშიგნულ გოჭს ღორის ქონით, კისრის ნაწილებით, ძეხვით და მოხარშული კარტოფილით ტენიან; ყველაფერ ამას უსვამენ წიწაკას, მარილს, კარდამონს, ტინიანს (?), აყრიან წვრილად დაკეპილ ქონდარს და სამი საათის განმავლობაში ხარშავენ. შემდეგ ჭრიან მსხვილ გრძივ ნაჭრებად და საგულდაგულოდ წვავენ ცხიმში. ამ საკვებზე, გარნირის სახით, კარგია კარტოფილის პიურეს და მჟავე კომბოსტოს დამატება და რეინის მშრალი ღვინის მიყოლება — ასე წერია გერმანიის ლიდერის საავტორო კულინარულ წიგნში.

# P

თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის!!!

# გიყვართ თუ არა ლიტერატურა?!



**შვეულად:** 1. „ბახტრიონის" აჯანყების გმირი. 2. ბოშა ქალი ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი რომანიდან. 3. ავტორი კომედიისა „რევიზორი". 4. გერმანელი მწერალი, ავტორი შვეული № 14-ის თავგადასავლებისა. 5. ქალი, რომელიც საყვარლის გამო მატარებელს ჩაუვარდა ბორბლებში. 6. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა. 7. კარლ გუცკოვის პიესის მთავარი პერსონაჟი ქალი. 8. ალ. ყაზბეგის მოთხრობა. 9. რა გვარითაა ცნობილი კაპიტანი ჟიულ ვერნის რომანიდან? 13. ავტორი (ძველთბილისური) მოთხრობისა „გიქორი". 14. მსოფლიო ლიტერატურის მეორე ცრუპენტელა ნაცარქექიას შემდეგ... (რატომ უნდა გვაჯობოს ვიღაც გერმანელმა?!). 15. რა ერქვა ავტორს რომანისა „მთვარის სპეკალი". 23. კოლუმბიელი მწერალი, ავტორი რომანისა „მარტოობის ასი წელი". 26. რომაელი პოეტი, „ენეიდას" ავტორი. 27. XVIII ს. გერმანელი დრამატურგი, ავტორი „ნათან ბრძენისა". 29. ამერიკელი ებრაელი მწერალი, ემბროუზ... (1842-1914). 30. ფრანგი მწერალი-რომანტიკოსი. 31. რა იყო მითოლოგიური გორგონა თავისი არსით? 32. ვაჟას პოემის გმირის, ძაღლიკას გვარი... 37. რუსი მწერალი, ბორის... (1890-1960). 38. ვიქტორ ჰიუგოს რომანი 42.. თარაზული № 83–ის უმნიშვნელოვანესი რომანი. 43. წიგნი, რომელიც ძალიან კარგად იყიდება. 47. ლეკთა ბატონი გოგებაშვილის ცნობილი მოთხრობიდან. 48. ავტორი რომანისა „ცისფერი ლენტი". 49. (მადამ) ჟორჟ სანდის ნამდვილი გვარი. 52. (მუსიე) სიმენონი. 54. კაცობრიობის უდიდესი მეზღაპრე. 59. ქართული მითოლოგიის უპირველესი გმირი. 60. ვინ იყო რომანტიზმის მამამთავარი? 61. შერლოკ ჰოლმსისა და კომისარ მეგრეს (ასევე) ცნობილი ლიტერატურული კოლეგა. 63. პუშკინის ლიტერატურული ნათლია. 66. რა დაგვიტოვა ანა ფრანკმა? 67. შვეული № 38-ის მთავარი პერსონაჟი. 69. რა გვარი იყო გრაფი მონტე-კრისტო? 72. სიშიშვლის ასახვა. 74. ლატვიელი პოეტი, იან... 76. რა იღვრება უზომოდ „ვეფხისტყაოსანში"? 78. ქართული ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი გმირი. 79. „ელგუჯას" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის გვარი. 84. რა „იშლება" ხოლმე ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტ-მწერლისათვის წინ... კრიტიკოსების „შტამპების" თანახმად? 85. „ოტელოს" არამთავარი პერსონაჟი. 86. მაცდური ქალი ან და სერჟ გოლონების რომანების სერიალიდან. 87. სახელი „მშვენიერი" მსახიობისა, რომელმაც ელიზა დულიტლის როლი ითამაშა ფილმში. 91 საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები კაცი. 92. დიუმა-მამას რომანი. 94. ლიტერატურული ქმნილება. 95 რა არის მოჭარბებულად მარკ ტვენის ნაწარმოებებში. 99. რა იყო „ტიტანიკი"? 102. რა მოკლა ჭრიჭინამ? 103. ავტორი რომანისა „პარიზის საიდუმლოებანი".

**თარაზულად**: 10. მწერალი, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა ომის უაზრობა მშვიდობასთან მიმართებაში. 11. ქართული რომანის დიდოსტატი. 12. ქართული ფოლკლორის ყველაზე უიღბლო ქალიშვილი. 16. უსინათლო ბერძენი, რომელსაც კაცობრიობა მთელი ისტორიის მანძილზე იცნობს. 17. მანონ ლესკოს სატრფიალო თავგადასავლების მემატიანე. 18. რა აკავშირებს ჯეკ ლონდონის ერთ რომანს „სანტა-ბარბარასთან"? 19. ავტორი რომანისა „ბუდენბროკები". 20. რა გაახსენდება კაცს ჩახრუხაძის ხსენებისას? 21. ყველაზე პოეტური ქალაქი ირანში. 22. *(იხილეთ ფოტო)* ვინ არის ეს კაცი? . 24. ყველაზე ცნობილი ბიგვა. 25. ფიზიკური ნაკლის მქონე შესანიშნავი ქართველი პოეტი. 28. თოჯინების დედოფალი. 33. შიო არაგვისპირელის მოთხრობა. 34. ავტორი მოთხრობისა „პოლკოვნიკი შაბერი". 35. რა ერქვა კარმენის ლიტერატურულ მამას? 36. მდინარე, რომლის პირას გოგლა ლეონიძე გაიზარდა. 39. ყველაზე დიდი მოძალადე თარაზული № 11-ის შემოქმედებიდან. 40. ინდოელი ქალი - ქართულ ლიტერატურაში. 41. ლიტერატურული წყალქვეშა ხომალდი. 44. (თუნდაც) ლიტერატურის მასწავლებელი ინსტიტუტში. 45. ქართველი მეფე-პოეტი. 46. მე-20 ს. ქართველი პოეტი 50. ალფონს დოდეს რომანის გმირი. 51. მე-16-17 სს. ფრანგი მწერალი. 53. კარლ გუცკოვის პიესის მთავარი გმირი. 55. თანამედროვე ქართველი პოეტი. 56. პატარა ცხენი., 57. პუშკინის გადია. 58. „ოტელოს" პერსონაჟი. 62. პოლონელი ფანტასტი, სტანისლავი... 63. ტურა – იგავ-არაკების მთავარი პერსონაჟი. 64. მიხაკიანი პოეტი. 65. ავტორი ზღაპრისა „ვარსკვლავთბიჭუნა". 68. შველი მეზღაპრე ქალი. 70. ქართული ხალხური ლექსის სახესხვაობა. 71. მიხეილ კვესელავას რომანის რიცხვითი სახელი. 73. დაცინვის ფორმა... თუნდაც ლიტერატურაში. 75. რეაბილიტირებული რუსი მწერალი. 77. ბურატინოს ნაღვლიანი კოლეგა. 80. მთავარი პერსონაჟი ქალი რომანში „ფორსაიტების საგა". 81. რუსი მწერალი. ივან... 82. (ბატონი) შენგელაია... თქვენ მას უფრო ფსევდონიმით იცნობთ. 83. ავტორი რომანისა „დუბლინელები". 88. რეზო გაბრიაძის ლიტ. სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმის „არაჩვეულებრივი" პერსონაჟი. 89. შუა სს. ფრანგული ეპოსის მთავარი პერსონაჟი. 90. ავტორი რომანისა „უთავო მხედარი" 93. „ოთარაანთ ქვრივის" უიღბლო პერსონაჟი. 96. ვინ იტყოდა ამას – „კაცი ძირგავარდნილი ქვევრიაო"? 97. რუსი ყრუ-მუნჯი კაცი, რომელმაც ლეკვი დაახრჩო წყალში. 98. „ილიადას" პერსონაჟი, მიკენეს მეფე, ცოლისაგან მოკლული. 100. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი. 101. ბატონი რეზო, დიდებული ნოველისტი... 104. სიტყვა, რომლითაც ბიბლია მთავრდება. 105. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე-მწერალი... 106. რა „აქვს" მგელს ერთ ადრინდელ ქართულ დეტექტივში. 107. როგორი სოფელია ის, სადაც დავით გურამიშვილი ჰყავდათ ლეკებს ტყვეობაში? 108. რა „არ მეფობს" ლიტერატურაზე?




## არმიელთა გადმოქართულებული იუმორი

*გენერალი გაფთრებით დააცხრა ერთ ზემდეგს, რომელმაც გენერალს ყურში ჩასჩურჩულა:*
*– ბატონო გენერალო, ჩვენ, უფროსები, თუ ვიჩხუბებთ, რა მაგალითს აიღებენ ჯარისკაცები?!*

*გენერალმა თავისი ქვეშევრდომების საზრიანობის შემოწმება მოინდომა და მათ გამოკითხვა მოუწყო:*
*–მითხარით რა არის: შავი წყვილი, პრიალებს, კარებთან დგას?*
*დუმილი.*
*– ეჰ, თქვენ რა გითხარით?! ეს ერთი წყვილი ჩექმაა... ახლა მითხარით: ორი შავი წყვილი, პრიალებს, კარებთან დგას? რა არის?*
*დუმილი.*
*– ეჰ, თქვენ რა გითხარით?! ეს ორი წყვილი ჩექმაა... ახლა კი, ყველაზე რთული კითხვა: ჭაობში ცხოვრობს, მწვანეა, ყიყინებს?*
*ერთ-ერთი დამსწრე იწევს ხელს.*
*– აბა, თქვით, რა არის?*
*– სამი წყვილი ჩექმა!*

*სენსაცია*

## ბიბლიური გოლიათი ნამდვილად არსებობდა!..

*...იერუსალიმელი არქეოლოგი საიმონ დორი ამტკიცებს, რომ აღმოაჩინა ჩონჩხი ბიბლიური პერსონაჟის, გოლიათისა, რომელიც მოკლულ იქნა მეორე ბიბლიური პერსონაჟის, დავითის მიერ, ლოდსატყორცნიდან ნატყორცნი უზარმაზარი ლოდით...*



დოქტორი დორი თავის აღმოჩენას იმის დამადასტურებლად მიიჩნევს, რომ დიადი ბრძოლა დავითსა და გოლიათს შორის ზუსტად ისე წარიმართა, როგორც ეს მოთხრობილია ძველ აღთქმაში.

„– ისინი, ვინც თვლიდნენ, რომ დავითისა და გოლიათის ჭიდილი მხოლოდ მითია და მისი განხილვა შეუძლებელია რეალური სახით, ახლა თავად ნახავენ, რომ ჩვენ მეცნიერულად დადასტურებული ფაქტები გაგვაჩნია და რომ ყველაფერი მრავალჯერ გაგონილის შესაბამისად მოხდა." – გოლიათის ჩონჩხი იუდეის მთების ძირას გაშლილ ელას ველზე იქნა ნაპოვნი, სადაც, გადმოცემის თანახმად, სამი ათასი წლის წინათ გაიმართა ეს გრანდიოზული ორთაბრძოლა.

„– ჩვენ თავიდანვე მივხვდით, რომ რაღაც საოცარი რამ აღმოვაჩინეთ... განა ყოველთვის შეიძლება ოთხმეტრიანი ადამიანის ჩონჩხის პოვნა?! ერთხელ შეხედვაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ უზარმაზარი თავის ქალა, შიგ ჩაჭედილი ქვით, სწორედ ბიბლიურ გოლიათს ეკუთვნის: დავითმა ხომ იგი პირდაპირ შუბლში დაჭრა. რა თქმა უნდა, ჩვენ ასე ხელაღებით ვერ დავამტკიცებდით ყველაფერს და ამიტომაც მრავალი მეცნიერული ტესტირების ჩატარება მოგვიხდა, რამაც დაგვარწმუნა იმაში, რომ ჩონჩხის ასაკი 2900-3000 წელს შეადგენს.

ჩვენს ჰიპოთეზას ისიც ადასტურებს, რომ ძვლები აღმოჩენილ იქნა იმ ადგილას, რომელზედაც ბიბლია მიგვითითებს. ეს წიგნი კი მოგვითხრობს, რომ დავითმა გოლიათი მოკლა ისრაელელებისა და ფილისტიმელების ტომებს შორის გამართული ბრძოლის დროს. გოლიათს დაუმარცხებლად მიიჩნევდნენ და მისი მოკვლით დავითმა ისრაელელთა მეფის ტიტული დაიმსახურა. იმ ეპოქაში მოწინააღმდეგე მხარეები სადავო საკითხის გადაწყვეტისას ადამიანების დიდი რაოდენობით ხოცვა-ჟლეტას ერიდებოდნენ და ამიტომაც იმართებოდა ბრძოლა ორ ფალავანს შორის, რომელში გამარჯვებულსაც წარმატება მოჰქონდა თავისი ტომისათვის. ამ ბრძოლაში ფილისტიმელებმა თავისი ფალავანი, გოლიათი გამოიყვანეს, ისრაელელთა მხრივ კი პატარა დავითი იბრძოდა. დავითი, მიენდო რა ღვთის რწმენას, მარჯვედ მოიქცა და გოლიათი ლოდსატყორცნიდან დაჭრა, შემდეგ კი მახვილით თავი მოჰკვეთა... არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ ჩონჩხზე კი თავი სხეულისაგან სწორედ მახვილითაა მოშორებული".

სპეციალისტები კვლავაც განაგრძობენ ჩონჩხის გამოკვლევას, ამასობაში კი დოქტორი დორი განაგრძობს ელას ველის თხრას იმ იმედით, რომ ახალ ექსპონატებს მიაკვლევს აღნიშნულ ორთაბრძოლასთან დაკავშირებით.

„– ბედნიერი ვიქნებოდი, დავითის მახვილი რომ მეპოვნა ან თუნდაც მისი ლოდსატყორცნის პატარა დეტალს მაინც წავწყდომოდი სადმე..." – ამბობს მეცნიერი.

ის „ფანტაზია"
რეგისტრირებულია
ისნის რაიონის
სასამართლოს მიერ
№7/1–1811
რედაქტორი
ალექსანდრე
ელერდაშვილი
უზნაძის ქ. № 18,
„საქწიგნი", 1-ლი
სართული